
	აფილირების წესი	თარიღი	სექტემბერი 2017
		თავი	0
		გვერდი	1/10
		ცვლილება	0



 “დამტკიცებულია”
 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
 რექტორი, პროფესორი
 ს. ტეფნაძე
 01.09.2017
 ბრძანება № 06 „44-1“


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აფილირების წესი

ძირითადი ასლი

	<p style="text-align: center;">ავილირების წესი</p>	თარიღი	სექტემბერი 2017
		თავი	1
	<p style="text-align: center;">სარჩევი</p>	გვერდი	2/10
		ცვლილება	0

1 სარჩევი

1	სარჩევი	2
i.	ცვლილებები	3
ii.	ცვლილებების ისტორია	4
iii.	მოქმედი გვერდების სია	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი	6
3	ტერმინთა განმარტებები.....	7
4	ძირითადი ნაწილი.....	8
	მუხლი 1. რეგულირების სფერო.....	8
	მუხლი 2. ავილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები.....	8
	მუხლი 3. გარდამავალი დებულებები	8
	დანართი. შეთანხმება ავილირების შესახებ.....	9


	ავილირების წესი	თარიღი	აპრილი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/10
		ცვლილება	1

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.


შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
დანართი	3,4,5,9,10	1	სექტემბერი 2017	დანართი	3,4,5,9,10	1	აპრილი 2019

	ავიღირების წესი	თარიღი	აპრილი 2019
	ii. ცვლილებების ისტორია	თავი	ii
		გვერდი	4/10
		ცვლილება	1


ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი
1	ავიღირების შეთანხმების ფორმის განახლება	3,4,5,9,10		

	ავილირების წესი iii. მოქმედი გვერდების სია	თარიღი	აპრილი 2019
		თავი	iii
		გვერდი	5/10
		ცვლილება	1

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	სექტემბერი 2017				
1	2	0	სექტემბერი 2017				
i	3	1	აპრილი 2019				
ii	4	1	აპრილი 2019				
iii	5	1	აპრილი 2019				
2	6	0	სექტემბერი 2017				
3	7	0	სექტემბერი 2017				
4	8	0	სექტემბერი 2017				
დანართი	9	1	აპრილი 2019				
დანართი	10	1	აპრილი 2019				


	აფილირების წესი	თარიღი	აპრილი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/10
		ცვლილება	0

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.


დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	<p>აფილირების წესი</p>	თარიღი	სექტემბერი 2017
		თავი	3
	<p>ტერმინთა განმარტებები</p>	გვერდი	7/10
		ცვლილება	0

3 ტერმინთა განმარტებები

1. აფილირება - გულისხმობს, დაწესებულებასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში:• აქტიურად არის ჩართული სსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საქმიანობაში;
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უსდ-სთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება;
3. აფილირების შეთანხმება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უსდ-სა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;
4. უსდ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
5. სსუ- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

	ავილირების წესი	თარიღი	სექტემბერი 2017
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/10
		ცვლილება	0

4 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. რეგულირების სფერო


1. წინამდებარე წესი არეგულირებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ავილირების წესსა და პირობებს, ადგენს ავილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს;
2. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი 2. ავილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი, თუ იგი ამავე დროს არის სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე, ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია სსუ-სთან გააფორმოს ავილირების შეთანხმება (იხ. დანართი 1);
2. სსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც გაიმარჯვებს სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, ვალდებულია სსუ-სთან გააფორმოს ავილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი 2);
3. სსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ;
4. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

მუხლი 3. გარდამავალი დებულებები

1. სსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც 2017/2018 სასწავლო წლის დაწყებამდე არ ეწურება თანამდებობაზე ყოფნის ვადა, ვალდებულია 2017 წლის 16 სექტემბრამდე სსუ-სთან გააფორმოს ავილირების შეთანხმება (იხ. დანართი 2);
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი მოცემულ ეტაპზე თავისუფლდება სსუ-თან ავილირების შეთანხმების გაფორმებისაგან, თუ მან ამ წესის დამტკიცებამდე შეასრულა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, რის საფუძველზეც სხვა უსდ-სთან გააფორმა ავილირების ხელშეკრულება. პირი ვალდებულია 2017 წლის 16 სექტემბრამდე წარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების დამოწმებული ასლი.

	ავილირების წესი	თარიღი	აპრილი 2019
	დანართი. შეთანხმება ავილირების შესახებ	თავი	დანართები
		გვერდი	9/10
		ცვლილება	1

დანართი. შეთანხმება ავილირების შესახებ


	შეთანხმება ავილირების შესახებ	თარიღი	აპრილი 2019
		თავი	0
		გვერდი	1/2
		ცვლილება	0

თბილისი

_____ 20__

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) (ს/კ 206155328) წარმოდგენილი მისი რექტორის სერგო ტუფნაძის სახით, და მეორეს მხრივ, 1.1 პუნქტში მითითებული ფიზიკური პირი (შემდგომში ავილირებული აკადემიური პერსონალი), შემდგომში მხარეებად წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ავილირებული აკადემიური პერსონალი
 - 1.1 სახელი, გვარი: _____
 - 1.2 პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი: _____
 - 1.3 დაბადების თარიღი: _____
 - 1.4 მისამართი: _____
 - 1.5 აკადემიური თანამდებობა: _____
 - 1.6 მიმართულება/დარგი/ქვედარგი: _____
 - 1.7 შეთანხმების მოქმედების ვადა: _____დან _____მდე
2. შეთანხმების საგანი
 - 2.1. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, აკადემიური პერსონალი განსაზღვრავს თავის ავილირებას უნივერსიტეტთან, რაც გულისხმობს რომ იგი:
 - 2.1.1. ავილირებულია მხოლოდ შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტთან“;
 - 2.1.2. უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
 - 2.1.3. ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;
 - 2.1.4. აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
 - 2.1.5. აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
3. ავილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა და დატვირთვის საათობრივი განაწილება რეგულირდება ინდივიდუალური სემესტრული/წლიური აკადემიური დატვირთვის სქემით და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.
4. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში, უნივერსიტეტი ვალდებულია:
 - 4.1. სასწავლო კომპონენტების განაწილებისას უპირატესობა მიანიჭოს ავილირებულ აკადემიურ პერსონალს;
 - 4.2. უზრუნველყოს ავილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსება, ავილირებული აკადემიური პერსონალისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.
5. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში, ავილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - 5.1. შეასრულოს წინამდებარე შეთანხმების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები;
 - 5.2. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური საქმიანობის განხორციელებამდე, თანხმობა მიიღოს უნივერსიტეტის რექტორისგან.
6. ავილირების შეთანხმების შეწყვეტის საფუძვლები:

	ავილირების წესი	თარიღი	აპრილი 2019
	დანართი. შეთანხმება ავილირების შესახებ	თავი	3
		გვერდი	10/10
		ცვლილება	1

	შეთანხმება ავილირების შესახებ	თარიღი	აპრილი 2019
		თავი	0
		გვერდი	2/2
		ცვლილება	0

- 6.1. შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლა;
- 6.2. პირადი განცხადება;
- 6.3. აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;
- 6.4. კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა აქტებით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
7. ავილირების შეთანხმების ვადის გაგრძელება შესაძლებელია წინამდებარე შეთანხმების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული პირის აკადემიურ თანამდებობაზე ხელახლა არჩევის შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად.
8. შეთანხმებაში შესაძლებელია განხორციელდეს დამატებები და ცვლილებები წერილობითი ფორმით.
9. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს უნივერსიტეტსა და ავილირებულ აკადემიურ პერსონალს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

დამსაკმებელი
შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“

ავილირებული აკადემიური პერსონალი

რექტორი: სერგო ტეფნაძე